საქართველოს ბანკი

OCSC245726435 05/08/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869), როგორც უძრავი ქონების ს/კ: 01.81.08.339.343 (მისამართი: ქალაქი თბილისი, დიდი ლილო. მესაკუთრე: შპს „პრომეტალ 1“, ს/ნ: 417884711) იპოთეკარი თანახმაა მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს საწარმოო/სავაჭრო დანიშნულების ობიექტის სამშენებლო სამუშაოები იმ პირობით, რომ სს „საქართველოს ბანკი“-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლებები დარჩება უცვლელი და გავრცელდება მშენებლობის დასრულების შემდგომ რეგისტრირებულ ფართ(ებ)ზე სრულად.

პატივისცემით,

ივანე ალავერდაშვილი (პ/ნ: 59001103555)
მცირე ბიზნესის უფროსი ბანკირი
სს „საქართველოს ბანკი“

სს „საქართველოს ბანკი“
ს/ნ 204378869
გაგარინის ქ. №29ა
თბილისი 0160, საქართველო
(032) 2 444 444
www.bankofgeorgia.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

67084900645520

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200589623

რეგისტრაციის თარიღი

24.08.2020 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს, ირმა შარვაძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მომმართა **მიხეილ გომართელმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს „საქართველოს ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს „საქართველოს ბანკის“ ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მიერ 2016 წლის 21 ოქტომბერს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 161218152 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **მიხეილ გომართელმა** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ივანე ალავერდაშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მიხეილ გომართელის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მიხეილ გომართელმა (დაბადებული 31.07.1975წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01007008711, მცხოვრები: თბილისში, აგლაძის ქ.№38, ბინა №75) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **მიხეილ გომართელმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება

სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **მიხეილ გომართელი** (შემდგომში - მარწმუნებელი) ანიჭებს უფლებამოსილებას **ივანე ალავერდაშვილს** (პ/ნ59001103555, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს „საქართველოს ბანკის“) სახელით:

1. ხელი მოაწეროს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას(ებს) ულიმიტოდ.
2. ხელი მოაწეროს 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში მარწმუნებლის მიერ გასაცემ კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის გაცემასთან დაკავშირებულ შესაბამის საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს.

3. ხელი მოაწეროს 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში მარწმუნებლის მიერ გასაცემ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს.
4. ხელი მოაწეროს გირავნობის, იპოთეკის, თავდებობის ხელშეკრულებებს ულიმიტოდ ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სხვა სახის ხელშეკრულებას(ებს)/გარიგებას(ებს)/დოკუმენტ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლებების გაუქმების (მათ შორის იპოთეკის/გირავნობის მოხსნა და სხვა) წერილებისა.
5. ხელი მოაწეროს ბანკის მიერ კლიენტი-კომპანიების აუდიტორებისათვის წარსადგენ წერილობით დოკუმენტაციას.
6. ხელი მოაწეროს ბანკის კორესპონდენციას (შემომავალ და გამავალ წერილებს), რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივ საქმიანობასთან.

რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10.00 ლარი, დღგ 1.80 ლარი, რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. N507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი მიხეილ გომართელი

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____

